საქართველო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

ბრძანება:ბ29. 2923340001
თარიღი:06/12/2023

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საქმისწარმოების საკითხებში), თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის (საქმისწარმოების საკითხებში) ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტის , საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ" 34-ე, 35-ე მუხლების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. გამოცხადდეს ღია კონკურსი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საქმისწარმოების საკითხებში), თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის (საქმისწარმოების საკითხებში) ვაკანტურ თანამდებობებზე 2023 წლის 07 დეკემბრიდან.

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება დაევალოს საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში და კონკურსი გამოცხადდეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე -hr.gov.ge-ზე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი. წერეთლის ქ. №7) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM